სიფყვას საქმე აცოცხლებს

ჩვენში ტრადიციად იქცა — პარტიისა და მთავრობის. ყოველ გადაწყვეტილ ებას მშრომელები უპასუხებენ ახალ-ახალი ვალდებულებებით, ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რომ ამრავლონ დოვლათი, დაჩქარონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობა.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელები მრავალი წლის გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ სოციალისტური შეჯიბრება — ეს არის ზედიდები ძალა სამეურნეო გეგმების გადაჭრებით შესრულებისათვის, წარმოების ახალი რეზერვების ამოქმედებისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის. სწორედ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებამ შესაძლებელი გახადა საქართველოს სსრ მრეწველობას გასული წლის მთლიანი პროდუქციის წარმოების სახელმწიფო გეგმა 103 პროცენტით შეესრულებინა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია დიდძალი თუჯი, ფოლადი, ნავლინი, ქვანახშირი, კოშკური ამწეები, ტრაქტორები, ცემენტი და სხვა სამრეწველო პროდუქცია.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის თითქ რიგ დარგებში. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პირნათლად შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის დარგში ნაკისრი ვალდებულებანი. მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 170.4 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ყურძნის, ხილის, ციტრუსებისა და დაფნის შესყიდვის გეგმა.

ახალ-ახალი ინიციატივითა და თაოსნობით დაიწყო 1963 წელიც, შვიდწლედის მეხუთე წელი.

ჯერ კიდევ იანვარში ჩვენს ქვეყანაში ცნობილი გახდა კომბინატ „ლუგანსკკომშენისა“ და უკრაინის სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს სეკეროდონეცკის ორგანიზაციათა მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების ინიციატივა — „გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ ვადაზე ადრე ამოქმედონ ქიმიური მრეწველობის ახალი სიმძლავრეები 1963 წელს. ამ ინიციატივას ერთ-ერთი პირველი გამოხმაურნენ რუსთავისა და ქუთაისის ქიმიური ობიექტების მშენებლები.

ამ ერთი თვის წინათ ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა უარი თქვა სახელმწიფო დოტაციაზე და ვალდებულება იკისრა 1963 წელს წარმოებამ იმუშაოს რენტაბელურად. ამ ვალდებულების შესასრულებლად ქარხანაში ფართოდ გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება. სიტყვა რომ სამედ აქციონ, ავტომობილმშენებლები ახალი რეზერვების ძიებაში არიან. სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგნენ პარტიული ორგანიზაცია, კომუნისტები. მიღწეულია პირველი შედეგებიც. ქარხანამ იანვრის საწარმოო გეგმა: ყველა მაჩვენებლის მიხედვით ვადაზე ადრე შეასრულა. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 107,5 პროცენტით არის შესრულებული, ხოლო სახაერო პროდუქციის გამოშვებისა — 108,5 პროცენტით.

თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელო ქარხანაში თავი ინიშნა შესანიშნავმა წამოწყებამ — „ლაშქრობა შვიდწლედის მეხუთე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისა და წარმოების სანიმუშო კულტურისათვის“. ამ წამოწყებას უკვე გამოეჩინდნენ მიმდევრები რესპუბლიკის ქარხნებსა და ფაბრიკებში.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები ფართოდ გამოეხმაურნენ კრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა წერილს — „გავაჩაღოთ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება 1963 წლის მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის!“. ამ პატრიოტულ მოწოდებას აქტიურად დაუჭერეს მხარი რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, საწარმოო სამმართველოში.

სამშობლო ელის, რომ რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა წარმატებით შეასრულონ მათ მიერ ნაკისრი კარგი ვალდებულებები.

იკისრე — შეასრულე კიდეც! — ეი საქმის მთელი შინაარსი. ვალდებულება მაშინ არის კარგი, თუ ის განმტკიცდება ცოცხალი, შემოქმედებითი პრაქტიკული მუშაობით. სიტყვა უსაქმოდ მკვდარია. პატივისცემისა და ქების ღირსნი არიან სწორედ ის ადამიანები და კოლექტივები, რომლებიც დასახულ ციფრებს აქცევენ ტონობით სხვადასხვა სახის პროდუქციად. პროდუქტების სიუხვი — ეი ტონა მოიყვანეს. სანახევროდაც ვერ შეასრულეს ბოსტნეულის წარმოების ოთრგში აღებული ვ ლ დებულება.

მართალია, სიღნაღის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებს ვალდებულებათა განაღდებაში ხანგრძლივმა გვალვამ მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი, მაგრამ ხომ შეეძლოთ ახალი ვენახების გაშენების დაკვალება შეესრულებინათ?! მათ გასულ წელს 80 ჰექტარი ახალი ვენახი გასაშენებელი დარჩათ.

ახალი ვენახების გაშენებას შარშან უფრაოდდებოდ მოეკიდნენ ბოლნისის საწარმოო სამმართველოში. აქ 156 ჰექტარი ვენახი არ გაუშენებია. ვენახების გაშენების გეგმის შესრულებაც 141 ჰექტარი დაეკლეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ნელი ტემპით ინერგება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. ამ მხრივაც ბევრი სამმართველოს, მისი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელები დაპირებებს დაპირებებზე იძლევიან, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვრის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ისევე როგორც ყველგან, ჩვენს რესპუბლიკაშიც პარტიული ორგანოების გარდაქმნა საწარმოო პრინციპის მიხედვით მიმართულია იქითკენ, რომ პარტიული ხელმძღვანელობა მიუახლოვდეს თვითეულ საწარმოს, მშენებლობას, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას.

სწორედ ახალი პარტიული ორგანოები — სამრეწველო-საწარმოო ზონებისა და საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტები მოწოდებული არიან უფრო შემოქმედებითად ჩაუდგნენ სათავეში მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით განაღდებისათვის.

წარმოება მთავარი ფრონტია. როგორ მივაღწევთ ამ მთავარ ფრონტზე წარმატებას? კარგ სიტყვას ფასი ექნება სწორედ იქ, სადაც პარტიული კომიტეტები უფრო ახლოს მივლენ ადამიანებთან, მხარს დაუჭერენ და პრაქტიკულად წაახალისებენ ყოველ სასარგებლო ინიციატივას, იბრძოლებენ მოწინავე მეთოდების, ტექნიკური პროგრესის დანერგვისათვის, დროულად დაეხმარებიან ჩამორჩენილ კოლექტივებს.

მთავარი აგრეთვე ის არის, რომ პარტიულმა კომიტეტებმა ღრმად ჩაუნერგონ თვითეულ კოლექტივს, თვითეულ ადამიანს, რომლებიც მაღალ ვალდებულებებს კისრულობენ, ის გეშმარიტება, რომ რადგან ვალდებულება იკისრა, უნდა შეასრულოს კიდეეც!

პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 48 (12560) | სამშაბათი, 26 თებერვალი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ეკონომიკა ცნობები

მისალმება შავი ზღვის მეზღვაურებისადმი

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ [illegible] მისალმება გაგზავნეს შავი ზღვის მეზღვაურთა მრავალთანაბარი კოლექტივის წარმომადგენლებს, რომლებიც შეეკრიბნენ თათბირზე ტვირთზიდვის 1963 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულების ამოცანათა განსახილველად.

შავი ზღვის მეზღვაურებმა კარგად იმუშავეს გასულ 1962 წელს, ნათქვამია მისალმებაში. ახლა მთავარი ყურადღება უნდა მიეპყროს სანაოსნოს მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო რწმენას გამოთქვამენ, რომ შავი ზღვის სანაოსნოს მუშაკები განაგრძობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ფართოდ გაავრცელებენ მოწინავე კოლექტივთა მუშაობის გამოცდილებას და ახალ წარმატებებს მიაღწევენ შრომაში, ღირსეულ წვლილს შეიტანენ იმ საქმეში, რომ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. (საკდესი).

ჟურნალისტთა ფორუმი

სრულიად საკავშირო სემინარი მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის საკითხებზე

მოსკოვი, 23 თებერვალი. (საკდესის კორ.). თოთქმის სამასამ კაცმა — ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და რუსეთის სფსრ მეტი წილი მხარეებისა და ოლქების ათეისტურ თემებზე მწერლმა ჟურნალისტებმა, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორებმა, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებმა — მიიღო მონაწილეობა ჟურნალისტთა სრულიად საკავშირო შემოქმედებით სემინარში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის საკითხებზე, რომელიც დღეს დამთავრდა.

სემინარი მოიწვია სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტსა და სხვა ორგანიზაციებთან ერთად.

ბრძოლა რელიგიურ შეხედულებათა წინააღმდეგ კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომლის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ამ ამოცანის გადაჭრაში დიდი როლი ეკუთვნის პრესას, რადიოსა და ტელევიზიას.

ხუთი დღის განმავლობაში სემინარის მონაწილე ჟურნალისტებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება. მოისმინეს ლექციები და მოხსენებანი სხვადასხვა თემებზე. მათ შორის ლექციები თანამედროვე ღვთისმეტყველებისა და მეცნიერების შესახებ, კომუნიზმისა და რელიგიის შესახებ და სხვ.

ჟურნალისტთა კავშირმა გადაწყვიტა მოაწყოს ყოველთაური შემოქმედებითი სემინარები მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის საკითხებზე რესპუბლიკებსა და ოლქებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 25 თებერვლის ბრძანებულებით ცხვრის სელადობის, ხორცის, მატყლისა და კრაველის წარმოების გადიდებაში მიღწეული წარმატებისათვის სსრ კავშირის ორდენებით და მედლებით დაჯილდოვა ყაზახეთის სსრ 30 ახალგაზრდა მწყემსი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ალმა-ატის ოლქის ჯამბულის საწარმოო სამმართველოს როსლავლის მეცხვარეობის მეურნეობის უფროსი მწყემსი ე. აბდიკაიმოვი, გურიევის ოლქის მახამბეტის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „მოწინავის“ უფროსი მწყემსი ს. დაულეთ-კალიევი და ჩიმკენტის ოლქის ყაზალეთის საწარმოო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობა „ტიმურსკის“ უფროსი მწყემსი ა. მუსაევი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 6 კაცი, „სპატიო ნიშნის“ ორდენით — 8, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 13 კაცი.

ზოგიერთი მონაჭორის გამო

უკანასკნელ დროს საზღვარგარეთის პრესის ზოგიერთ ორგანოში გაჩნდა ცნობები, ვითომ საბჭოთა კავშირი აწვდიდეს ინდოეთს დიდძალ ხიმარ მასალასა და სხვადასხვაგვარ შეიარაღებას. ამასთან ვრცელდება ყოველგვარი მონაჭორი, რასაც საერთო არა აქვს რა ნამდვილ ვითარებასთან.

სინამდვილეში საბჭოთა კავშირი წინათ დადებული ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმების შესაბამისად ხელს შეუწყობს ინდოეთს ავიაგამანადგურებელ თვითმფრინავთა საწარმოო ქარხნის დაპროექტებაში, შემდეგ კი მშენებლობაში. აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებს აგრეთვე, რომ საბჭოთა კავშირი ინდოეთს მიაწვდის 12 მიგ-21 თვითმფრინავს, რომელთაგან 6 ეგზავნება 1963 წლის დამდეგს, დანარჩენი კი — 1964 წელს.

ამრიგად, პრესის აღნიშნული ორგანოების მონაჭორი, ეტყობა, მიზნად ისახავს გაართულოს სახელმწიფოთა ურთიერთობა და ხელი შეუშალოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ღონისძიებებს, (საკდესი).

ფინეთის პრემიერ-მინისტრი კიევში ჩავიდა

კიევი, 25 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდნენ ფინეთის პრემიერ-მინისტრი ალტი კარიალაინენი, მეუღლითურთ და სხვა ფინელი სტუმრები. მათ საზეიმო შეხვედრა მოუწყეს კიევის აეროპორტში.

აეროდრომზე უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ი. ს. სენინმა და ფინეთის პრემიერ-მინისტრმა ალტი კარიალაინენმა სიტყვები წარმოთქვეს.

საბჭოთა საქართველოს დღე

საგჭოთა საქართველოს 42 წელი

საზეიმო სხდომა თბილისში

25 თებერვალს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 42-ე წლისთავისადმი.

დარბაზში შეიკრებნენ წარმოების მოწინავეები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა არმიის მეომრები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან გ. ა. გეგეშიძე, დ. ს. ზემლიანსკი, მ. ი. კუჭავა, ვ. ა. მუკანაძე, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტეფანოვი, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ბანუშვილი, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ვ. ლელაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუიძე, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რესპუბლიკის მინისტრები, მეცნიერები, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეთაურთა შემადგენლობის წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ე. მელიქიძემ.

ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნებს.

ტაშის გრიალში შეკრებილებმა სხდომის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 42-ე წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ.

სხდომის დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი. (საკდესი).

ადამიანები

ბედნიერ ადამიანად ვიგრძნობ თავს, [illegible]

ერჩილ ძამაშვილი მოწინავე მებრძმედია, რასაც მან ენერგიული და თავდადებული შრომით მიაღწია. არჩილმა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ამუშავებისთანავე ერთ-ერთმა პირველმა დაკვარა ოფლი ქარხნის ღუმელთან. შემდეგ კი დღითი-დღე ამრავლებს შრომითს წარმატებებს.

არჩილი ამჟამად სახრმედე საამქროს უფროსი ოსტატია. მან კეთილსინდისიერი შრომით ქარხნის ხელმძღვანელებისა და ამხანაგების ნდობა დაიმსახურა. სწორედ ამიტომ იყო, რომ მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა ცნობილი მებრძმედე არჩილ ძამაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად დაასახელა.

სურათზე: სახელოვანი მებრძმედე ა. ძამაშვილი.

სიახლე სამთო წარმოებაში

ტყიბული. (საკ. კორ.). ცენტრალურ ელექტრომექანიკურ სახელოსნოში გაკეთდა, მწყობრიდან გამოსულ სამთო მანქანებსა და მექანიზმებს აცოცხლებენ. სახელოსნოს კოლექტივი არაერთხელ გამოსულა სიახლის დანერგვის ინიციატორად. პროგრესულის ძიება და მხარდაჭერა აქაურ მექანიზატორთა დამახასიათებელი კეთილშობილური თვისებაა.

ამას წინათ სახელოსნოს კოლექტივმა ტექნიკური პროგრესის გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. ვისაც შახტაში უმუშავია, იცის, რომ მიწისქვეშა ჰორიზონტებზე წარმატებით იყენებენ ქვანახშირის მოსახვეტ კონვეიერებსა და სამთო ჯალამბრებს. მუშაობის პროცესში მათ ყველაზე მეტად უხიანდებათ თოკის სრიალა საკისარები. საპირო ხდება

სახლებს აშენებს ქარხანა

მიშველ ადგილას ზედიზედ მოდიოდნენ ავტომანქანები. გავიდა სამი დღე და აღიმართა სახლის ქვედა სართულების კედლები. კიდევ, სამი დღის შემდეგ სართულშორისი გადახურვაც დაამთავრეს. ერთიორი თვის შემდეგ ოთხსართულიანი სახლის მშენებლობა დასრულდა.

მაგრამ ყველაზე საოცარი ეს როდია. სამშენებლო მოედანზე სახლის აშენების დროს არც ერთი აგური, არც ერთი ფიცარი არ მოუტანიათ და თითქმის არ ჩანდნენ თვით მშენებლებიც. რა თქმა უნდა, მშენებლები იყვნენ, მაგრამ სულ 10-15 კაცი.

ასეთ სურათს ხშირად ნახავთ რუსთავის ბევრ სამშენებლო უბანზე. დიდძალეულიანი სახლმშენებლობის ქარხანა, რომელიც გასული წლის ბოლოს ჩაგდა მწყობრში, ახლა ოთახების დიდი ზომის დეტალების სრულ კომპლექსს ამზადებს. წელს დაგეგმილი სახლების ნახევარზე მეტი ქარხნული მეთოდით აშენდება. (საკდესი).

ROCA არ იციან სასუქის ფასი

ჩვენი მიმოხილვა

საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების თესვა აღმოსავლეთ საქართველოს ბევრ რაიონში წარმატებით მიმდინარეობს. ოცი თებერვლისათვის დათესილია 7.926 ჰექტარი. აქედან სამარცვლედ ბარდა დათესა 3.098 ჰექტარი. სიღნაღის საწარმო სამმართველოს მეურნეობათა მინდვრებში დათესა 949 ჰექტარი, გარდაბნის სპეციალიზებული ტრესტის მეურნეობებში—1.733 ჰექტარის, გორის საწარმოო სამმართველოში — 2.440 ჰექტარი, ზნაურის საწარმოო სამმართველოში — 1.073 ჰექტარი.

ყველასათვის ცნობილია, რომ აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსში სასუქებს დიდმნიშვნელოვანი როლის შესრულება აკისრია. სოფლის მშრომელებმა ისიც კარგად იციან, რომ სასუქები აგროვადებში თუ არ შეიტანეთ, იგი თავის მნიშვნელობას კარგავს. ახლა გაჩაღებულია მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების თესვა, ჩაის პლანტაციების რიგთა შორის მიწის დამუშავება და სხვ. ამასთან ერთად უნდა შეიტანოთ მინერალური სასუქები, მაგრამ ზოგიერთი საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები რატომღაც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მინერალური სასუქების გატანას და დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოს მეურნეობებს გასულ ექვს თვეში 2.715 ტონა ფოსფოროვანი და 570 ტონა კალიუმის სასუქები უნდა გაეტანათ „საქსოფლკორის საწარმოო სამმართველოს არ გაუტანია 1.087 ტონა ფოსფოროვანი სასუქი.

სიღნაღის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებს გასატანი აქვთ 1.130 ტონა ფოსფოროვანი სასუქი, ჩაქვის საწარმოო სამმართველოს — 578 ტონა, მახარაძის საწარმოო სამმართველოს — 594 ტონა ფოსფოროვანი და 851 ტონა კალიუმის სასუქები.

მიწა თავის საკვებს — სასუქებს ელის. არ მოვაკლოთ მას ყურადღება. სოფლის მშრომელებო, იცოდეთ — სასუქები სასწაულებს ახდენენ. ვინც მიწას კარგად პატრონობს, მას შრომა უხვად აუნაზღაურდება.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის დელეგაცია

25 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. გენდრიხის მეთაურობით. დელეგაციაში საბჭოთა კავშირში ეცნობოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილებას სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის დარგში.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და დელეგაციის წევრებს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულითადობისა და ძმური მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

ამხ. ი. გენდრიხმა და სხვა ჩეხოსლოვაკელებმა ამხანაგებმა თავიანთი შთაბეჭდილებანი გაუზიარეს საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ და გააცნეს ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა დელეგაციის წევრებს გაცნო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ღონისძიებანი საბჭოთა კავშირში სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის, პარტიული და საბჭოთა ორგანოების საქმიანობა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის დარგში მას შემდეგ, რაც განხორციელდა ამ ორგანოების გარდაქმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

საუბარს დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. პოლიაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე ი. ს. პანკინი, საბჭოთა კავშირის ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. ა. ოლშანსკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გაერთიანების „საკსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე ა. ა. ეფიმოვი, რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. პ. სოტნიკოვი.

საუბარს დაესწრო აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში მ. პარისი.

ზვალინდელი მოსკოვი

მოსკოვში მალე გაჩნდება კიდევ ერთი ჩქაროსნული ტრასა — ახალი არბატის მაგისტრალი. იგი კუტუზოვის პროსპექტის გაგრძელება იქნება, სადოვოე კოლცოდან გაივლის კრეჩეტნიკოვის შესახვევს, კომპოზიტორის ქუჩას, ბოლშაია მოლჩანოვკას და არბატის მოედნისა და კალინინის ქუჩის გავლით მიადგება დედაქალაქის ცენტრს. ახალი მაგისტრალის სიგრძე 1.100 მეტრი იქნება, სიგანე 80 მეტრი. ავტოტრანსპორტის გასაქცელები ტროტუარებისაგან გამოყოფილი იქნება მწვანე ნარგავების ზოლით. ძველი სახლების ადგილას ახალ არბატზე აიგება მაღალი საცხოვრებელი შენობები, უნივერსალური მაღაზიები, მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვადასხვა საწარმოები.



სურათზე ახალი არბატის განაშენიანების მაკეტი (ხედი არბატის მოედნის მხრიდან).

ფოტო ა. სტუეინისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

 პარტიული ცხოვრება

წარმოება — აი მთავარი უბანი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ეფეინეგლოგის ხელმძღვანელობის ბიუროს გამსვლელი სხდომა კასპის სამრეწველო საწარმოო ზონის პარტიულ კომიტეტში

დაახლოებით ორი თვის წინათ კასპის სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიულმა კონფერენციამ ახლადარჩეულ კომიტეტს მიზნად დაუსახა მუშაობის ისე წარმართვა, რომ 1963 წელს სამრეწველო ზონაში არ იყოს ჩამორჩენილი საწარმოები. ამის მისაღწევად კონფერენციის მონაწილეებმა თავიანთ გადწყვეტილებაში პარტიულ კომიტეტს დაავალეს ახალ მოთხოვნათა შესაბამისად მოეწყო საწარმოებისა და სამშენებლო პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, გაეუმჯობესებინა კადრების შერჩევისა და განაწილების საქმე; პარტიული კომიტეტი უფრო ახლოს ყოფილიყო საწარმოებთან, მშენებლებთან, რკინიგზის ორგანიზაციებთან. სწორედ კონფერენციის მონაწილეთა ეს მოთხოვნები დაედო საფუძვლად კასპის სამრეწველო საწარმოო ზონის პარტიული კომიტეტის პრაქტიკულ საქმიანობას.

კასპის სამრეწველო საწარმოო ზონის პარტიული კომიტეტის განვლილი საქმიანობა იმის ნათელი დადასტურებაა, რომ პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნის შედეგად, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შემდეგ განხორციელდა, პარტიული ხელმძღვანელობა უფრო ახლოს მივიდა წარმოებასთან, მშენებლობასთან. კომიტეტის მუშაკები სულ უფრო ღრმად სწვდებიან წარმოების ეკონომიკას და საქმის ცოდნით წყვეტენ პრაქტიკულ საკითხებს.

გუშინ კასპის სამრეწველო საწარმოო ზონის პარტიულ კომიტეტში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს სხდომა, რომლის მუშაობაში, კასპის საწარმო სამრეწველო ზონის მსხვილი საწარმოების ხელმძღვანელებისა და პარტიული ორგანიზაციების მდივნების გარდა მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლეთ საქართველოს სამრეწველო საწარმოო ზონების პარტიული კომიტეტების, საქართველოს კპ რაიონთავის, გორის საქალაქო კომიტეტების მდივნებმა. ბიუროს მოისმინა კასპის სამრეწველო საწარმოო ზონის პარტიული კომიტეტის მდივნის ამხ. ბ. ბეჟაშვილის მოხსენება კომიტეტის მუშაობის პრაქტიკის შესახებ. მოხსენებელმა ბიუროს მონაწილეებს მოუთხრო პარტიული კომიტეტის საქმიანობაზე, იმ ღონისძიებებზე, რომლებიც პარტიულმა კომიტეტმა გაატარა საწარმოების, მშენებლობების, რკინიგზის და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებთან პარტიული ხელმძღვანელობის მიახლოებისათვის.

— კომიტეტის ბიუროს წევრთა შორის დავალებათა განაწილების შემდეგ, — თქვა მოხსენებელმა, — შეუფუძეთ სამრეწველო საწარმოო ზონაში შემავალი საწარმოების, ტრანსპორტის, სამშენებლო ორგანიზაციების და კავშირგაბმულობის დაწესებულებების და მათი ხელმძღვანელი კადრების შესწავლას. საზოგადოებრივი საწყისების დანერგვის და პარტიულ ცხოვრებაში კომუნისტთა ფართო წრის ჩაბმის მიზნით შეიქმნა ინსტრუქტორთა ორი ჯგუფი, ერთი იდეოლოგიური მუშაობის და მეორე საორგანიზაციო საკითხების ხელმძღვანელობისა.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტის საქმეში კომუნისტთა აქტიური მონაწილეობის მიზნით ჩამოყალიბდა პარტიული კონტროლის ექვსი კომისია. ეს კომისიებია: ტრანსპორტის ტექნიკურ საშუალებათა რაციონალურად გამოყენების, სხვა საწარმოების, ეკონომიური და ადმინისტრაციული რაიონებისათვის სპეციალურ დ საექსპორტო მიწოდებათა გეგმის შესრულების, ახალი ტექნიკის დანერგვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გეგმების შესრულების, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის, ადგილობრივ მეურნეობათა ფინანსური ბალანსის, ადგილობრივ მეურნეობათა ფინანსური ბალანსის, ადგილობრივ მეურნეობათა ფინანსური ბალანს

დიდი მოვალეობა

საშუალო სკოლის მასწავლებლები მადლიერების გრძნობით ეკითხულობთ გაზეთ „კომუნისტში“ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებისათვის საბოგადოებრივი ზრუნვის ასამაღლებლად გამოქვეყნებულ წერილებს. უკვე ყველასათვის ცხადია, რომ საშუალო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მეტყველება და წერითი კულტურა სასურველად სრულყოფილი არ არის. ამის რამდენიმე მიზეზი კარგად გაირკვა, კიდევ უფრო მეტია სათქმელი...

ამ ძირითადი საგნის სწავლების კარგად წარმართვის სათავე პროგრამაა, მაგრამ ეს სათავე ჯერ კიდევ დაუწმენდავია. დავასახელებ ერთ-ერთ, ნაკლს: ლიტერატურის პროგრამებში მწერლების თხზულებათაგან შესასწავლი ნაწარმოებები ყოველთვის დამაკმაყოფილებლად არ არის შერჩეული და შემოქმედების გარჩევისათვის შეტანილი საკითხებიც საჭირო სისრულით და აუცილებელი სიცხადით არა ჩანს.

მაგალითად, გ. ლეონიძის პოეზიის შესწავლისათვის პროგრამაში დასახელებულია მხოლოდ სამი ლექსი: „უემდერ სამშობლოს“, „მხედარი პირტახია“, „ვლადიმერ მაიაკოვსკი“, რაც პოეტის თავისებური ბუნების მხოლოდ ჩვენებისთვისაც კი დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. თვით გარჩევისათვის მითითებულ საკითხებში არ ჩანს ჩვენი დროის ამ სახალხო პოეტის შემოქმედებისათვის არსებითად დამახასიათებელი და ახალგაზრდობის აღზრდისათვის დიდმნიშვნელოვანი მთავარი მოტივები: მამულის სიყვარული, შრომის დიდება, მშვიდობა და ხალხთა მეგობრობა.

ვეხმაურებით წერილს — „ეს დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა“

უპირველეს ყოვლისა საჭიროა პროგრამების შევლება, შესწორება და სრულყოფა. ამის უნაკლოდ, გაკეთება შეუძლია მხოლოდ განათლების სამინისტროს, სამეცნიერო დაწესებულებების, მწერალთა საზოგადოებრიობისა და გამოცდილ მასწავლებელთა წარმომადგენლებისაგან შემდგარ კომისიას.

სახელმძღვანელოები ნაწილობრივ მაინც უვარგისია საგნის სწავლებისათვის. მათი ერთ-ერთი ნაკლია შეუსაბამობა და ზოგჯერ სრული წინააღმდეგობაც მოცემულ გარჩევებსა და თვით ამ გარჩეულ თხზულებათა ტექსტებს შორის.

X-XI კლასების სახელმძღვანელოთა მეორე ნაკლი მდგომარეობს მწერალთა თხზულებების იდეური შინაარსის გარჩევისა და მხატვრული ფორმის ანალიზის ერთმანეთისაგან მოწყვეტაში, ფორმისა და შინაარსის. გათიშვასა და უმეტეს შემთხვევაში ფორმის გარკვევის სრულ უგულებელყოფაში. თვითეული მხატვრული ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის ერთიანობაა და გარჩევაც ერთიანი უნდა იყოს.

იმის გამო, რომ სახელმძღვანელოების შემდგენლები გამოცდილ მასწავლებელთა შენიშვნებს არ ითვალისწინებენ, სახელმძღვანელოებიც სრულყოფილი არ არის. საჭიროა თვითეული კლასის სახელმძღვანელოს შესადგენად შეიქმნას ავტორთა ჯგუფები, რომლებშიც კრიტიკოსებსა და მეცნიერ მუშაკებთან ერთად თანასწორი უფლებით იქნებიან შეყვანილი სწორედ იმ კლასების გამოცდილი მასწავლებლები, რომლისთვისაც დგება სახელმძღვანელო.

ახალგაზრდობის წიგნიერების ამაღლებისათვის მასწავლებელთა მეშაობის წარმატებას ბორკავს სკოლის გარეთ მოსწავლეთა გარემომცველი ზოგიერთი გარემოება. მათ შორის პირველია მოზარდთა მახლობელ უფროს ადამიანთა უმრავლესობის მეტყველება თავისებურ ყარგონზე, რაც წარმოადგენს პროვინციული გამოთქმებისა და ბარბარიზმების ნარევს. მიუხედავად დიდი სიფრთხილისა, მოსწავლეებს სკოლაშიც კი წამოსცდებათ ხოლმე: „სარჩჩკა“, „ალატკი“, „ზდაროვი“, „რავარია აგი ვეჩნი“.

ქართული ენისა და ლიტერატურის კარგად შესწავლის საქმეს ჩემი აზრით ზიანს აყენებს ის, რომ კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები აღიკვეთა და სიმწიფის ატესტატის მისაღებ და უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელ გამოცდებზე თხზულების დაწერას მოითხოვენ. საქმის საზიანოდ მიმაჩნია ისიც, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტების გარდა, ყველა უმაღლეს სასწავლებელში ყველა დარგზე მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში გამოცდა არამაპროფილებელია. ქართული ენისა და ლიტერატურის ბევრ მასწავლებელს სჭირდება დროდადრო კვალიფიკაციის ამაღლება.

ჩემს თანამოსაქმეებს, ჩემს ყველაზე ძველს ვაკეთხებ კლასში და სხვა მოსწავლეებმა, რაკი იციან, რომ წამკითხველის მიმართ რა მკაცრადაც უნდა გამოვიდნენ, მე ამ შემთხვევაში ჯერ არ დავუწერ ცუდ ნიშანს, ამიტომ ხშირად მეტად ცოცალ და ჯანსაღ კამათს აჩაღებენ... ამით ხელს უწყობენ ამხანაგის ნაშრომის შეცვლებას და სრულყოფას და საკუთარ ცოდნასა და მსჯელობის უნარსაც ამაღლებენ.

დასასრულ, რასაკვირველია, შეფასებას ვაძლევ როგორც თხზულების წამკითხველს, ისე კამათში მონაწილეობის მიმღებთ და ვახალისებ. მთელი თვის განმავლობაში ასეთი მეშაობის შემდეგ ვაწყობ საკონტროლო წერას ასეთი წესით: მერხები სრულიად განთავისუფლებულია წიგნებისა, რვეულებისა და ჩანთებისაგან. დაურიგდებთან საკონტროლო წერის რვეულები, რომლის პირველ თავისუფალ ფურცელზე ჩემი ხელმოწერაა, რათა შინ დაწერილი თხზულება არ ჩაკერონ; ქაღალდის მცირე ნაჭრებზე დაწერილი და აპტარა რგოლად დახვეული 4-5 თემა მომაქვს და აქედან თვით მოსწავლეებს ვაღებინებ ორს და რაც შეხვდებათ, იმას ვაწერინებ ორ მწკრივად, რათა წერის დროს ერთმანეთის რვეულებშიც არ შეეძლოთ ჩახედვა.

თუ რომელიმე მოსწავლეს წერის დროს მაინც აღმოაჩნდება რაიმე გადასაწერი, მას იქვე ეწერება შეფასების ნიშნად 1 (ძლიერ ცუდი) და მეოთხედშიც დაბალი ნიშანი. პირველ ხანებში, არ დავმალავ, ძლიერ უკმაყოფილებას გამოთქვამენ ზოგიერთნი მაინც. მაგრამ შემდეგ მალე ეჩვევიან და საამაყოდაც თვლიან ასეთ მეშაობას. საკონტროლო წერის გაკვეთილებზე დირექტორიც ხშირად მესწრება და ამით ისიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ხალასი ცოდნის ამაღლებას.

ჩემი მეშაობის გამოცდილებიდან კიდევ მრავალი ხერხის გაზიარება შემიძლია, მაშასადამე, სხვა მასწავლებლებსაც ექნებათ ამხანაგებისათვის სასარგებლო სათქმელი. ამის გაკეთება შეგვიძლია რაიონული მეთოდური გაერთიანების ყოველთვიურ შეკრებებზე. ამის საფუძველზე კი შევძლებთ ახალგაზრდობის, მთელი ქვეყნის მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის პემარიტად კაცური ღირსებებით შემკული შემოქმედი მეშაკების აღზრდას, ახალი, ჩვენს თაობაზე უფრო მცოდნე და ძლიერი მომავლის აღზრდას.

მართლაც რომ კოლოსალურად გაზარდა ქართული სკოლა. ჩვენი შრომით კიდევ უფრო აკამაღლოთ იგი. ჩვენ ჩვენს ჯანსაღ, ნიჭიერ და მკვირცხლ მოზარდებს ვუდგამთ ენას, ვუყალიბებთ მსჯელობის უნარს, ვასწავლით ჩვენს საამაყო კლასიკურ მწერლობასა და მრავალფეროვან თანამედროვე ლიტერატურას, ვაყვარებთ შრომას და ვუმაღლებთ სულს. მასწავლებლებს დიდი პატივი გვაქვს მონიეებული და საპატიო მოგალეობა გვაკისრია. თვითეული ჩვენგანი ვიყოთ ამის ღირსი.

ზალვა გიგაშვილი,
ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

რევოლუციური ენთუზიაზმით

ჰავანა, 23 თებერვალი. (საკდესი). უდიდესი პოლიტიკური აღმავლობისა და რევოლუციური ენთუზიაზმის ვითარებაში ჩაიარა სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის წევრთა პირველმა მასობრივმა კრებამ, რომელიც 22 თებერვალს საღამოს გაიმართა ჰავანაში.

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ფიდელ კასტრომ. იგი შეეხო კუბის რევოლუციის განვითარების ძირითად ეტაპებს და აღნიშნა, რომ გასული ოთხი წლის განმავლობაში რევოლუცია იზრდებოდა და ვითარდებოდა.

ფიდელ კასტრომ ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მეშაობა პარტიის შესაქმნელად, და გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ სოციალისტური რევოლუციის ერთიან პარტიას მხარს დაუჭერენ კუბის ხალხის მასები.

ფიდელ კასტრომ აღნიშნა აღვირახსნილი ანტიკუბური კამპანია, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოებს, მაგრამ აგრესიული მოქმედება კუბის წინააღმდეგ. ფიდელ კასტრომ მოიყვანა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის, მაკნამარას ის განცხადება, რომ „შეერთებული შტატების პოლიტიკა მიზნად ისახავს მოისპოს კუბაში როგორც კასტროიზმი, ისევე კომუნიზმი“, და თქვა: ჩვენ არავის არ ვემუქრებით. პირიქით, ჩვენ გვემუქრებიან ამერიკელი იმპერიალისტები. ჩვენ კი არ ვაწარმოებთ ომს მათ წინააღმდეგ, არამედ ისინი აწარმოებენ ომს ჩვენს წინააღმდეგ.

შემდეგ მან წაიკითხა რ. ი. მალინოვსკის მოხსენების ის სიტყვები, რომ საბჭოთა კავშირი იქნება კუბის დამცველთა პირველ რიგებში, რასაც მჭუხარე ოვაციით შეხვდნენ. დარბაზში გაისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“, „ფიდელ, ხრუშჩოვ — თქვენთან ვართ!“.

ჩვენ, თქვა ფიდელ კასტრომ, მიგვაჩნია, რომ არავითარი სხვა სიტყვები არ შეიძლება იყოს უფრო შესაფერისი ბ-ნ მაკნამარასთვის პასუხის გასაცემად, ვიდრე ეს განცხადებაა, რომელიც საბჭოთა მთავრობის სახელით გაკეთდა.

თავისი გამოსვლის დასასრულს ფიდელ კასტრომ გამარჯვება უსურვა სოციალისტური რევოლუციის ერთიან პარტიას. კრების ყველა მონაწილემ ორმოცდა ხმა „ინტერნაციონალის“ მძღავრ საზეიმო მელოდიას.

კუბაზე თავდასხმა მოსწავლეებს მსოფლიო ომის დაწყებას

სტამბოლი, 23 თებერვალი. (საკდესი). კუბაზე თავდასხმა მოასწავლებს მსოფლიო ომის დაწყებას — ხაზს უსვამს სათაურში გაზეთ „ულუსი“, რომელშაც გამოაქვეყნა შინაარსი საბჭოთა კავშირის მარშალის რ. ი. მალინოვსკის მოხსენებისა კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართულ საზეიმო სხდომაზე. მარშალმა რ. ი. მალინოვსკიმ თქვა, აღნიშნავს გაზეთი, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატები თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს, სსრ კავშირი ამას უპასუხებს რამდენჯერმე უფრო ძლიერი დარტყმით.

თურქი მინისტრის აღიარება

სოფია, 25 თებერვალი. (საკდესი). ამჟამად ბევრი ავადმყოფობა ნამდვილი ჭირია ჩვენი საზოგადოებისათვის. ბავშვთა, ახალშობილთა და მშობიარეთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ისეთი საშინელი მდგომარეობაა, როგორიც არსად არ არის მსოფლიოში, განაცხადა თურქეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა იუსუფ აზიზოღლუმ თურქეთის პარლამენტში.

ტანკები გაღდადის ქუჩებში

ქაირო, 25 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ბაღდადის ქუჩებში ტანკი ჩანდა. ეუწყება რეუტერის საკავშირო კორესპონდენტი ბაღდადიდან. ზარბაზნებით შეიარაღებულმა ტანკებმა დაიკავეს პოზიციები ქალაქის საცხოვრებელ უბნებში.

ერაყის ჯარები, პოლიცია და „ეროვნული გვარდია“ ტანკებ აკატრიბებენ კონფლიქტებსა და იმას, ვისზედაც ეჭვი აქვთ, კომუნისტებს თანაგრძნობენ.



ბრძოლა უფლებებისათვის

□ ინგლისი. თითქმის ყოველდღე ასობით ინგლისელი მშრომელი რჩება უმუშევარი. „როლს როიზერის“ ფირმაში, რომელიც ახლახან შეეერთდა მსხვილ კომპანიას „პრესედსტილ კომპანის“, 500 მუშამ შეატყო, რომ სამუშაოს კარგავენ კრიოლვუდის (ლონდონის რაიონი) სარეცხი მანქანების ქარხნის დახურვის გამო.

„ინტერნეიშნლ კომპიუტორს ენდ ტაბიულეტორსის“ ფირმამ დაითხოვა ქალაქ ლეტჩუორტის (პარტფორდშირი) ქარხნის 150 მუშა. სამუშაო დაკარგა აგრეთვე „გრეი ლიმიტედ ფირმის უსტ პარტპულეის გემთსარემონტო ქარხნის 200 მუშამ.

ინგლისელი მუშები არ ურიგდებიან ამ დაუსრულებელ დათხოვნებს. „გლოსტერ აიერაფტ კომპანის“ ფირმაში, რომელმაც თებერვალში უკვე დაითხოვა 700 კაცი, გაიფიცა კოვენტრის ქარხნის 120 მუშა ახალ დათხოვნათა წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

□ საფრანგეთი. ლანდის დეპარტამენტის გლეხებმა შარშან ოქტომბრიდან დაიწყეს მამაცური ბრძოლა მიწის ნაკვეთების სამხედრო მანევრებისათვის გამოყენების წინააღმდეგ.

დეპარტამენტის მუნიციპალურმა მრჩევლებმა მიიღეს გადწყვეტილება, რომლებშიც ნათქვამია, რომ თუ მათი მოთხოვნები მანევრების შეწყვეტის შესახებ არ დაკმაყოფილეს, მაშინ ძალით შეუშლიან ხელს სამხედრო მანევრების მოწყობას.

□ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. კომუნალურ დაწესებულებათა და ტრანსპორტის მუშაკთა, მოსამსახურეთა, რკინიგზელთა, ფოსტის მუშაკთა პროფკავშირებმა, რომლებშიც გაერთიანებულია მილიონ 600 ათასზე მეტი კაცი, მოითხოვეს ხელფასის მომატება.

პროფკავშირები იბრძვიან ერთიანი ფრონტით. მათი მოთხოვნები მშრომელთა ხელფასის მომატების შესახებ დაკავშირებულია ომასთან, რომ ბონშენელოვნად გაძვირდა კვების პროდუქტები, და გადიდდა კომუნალური მომსახურებისა და ბინის ქირა.

□ ურუგვაი. მთელ ურუგვაიში გაიფიცნენ ელექტროსადგურებისა და ტელეფონის სადგურების მუშაკები. ვრცელდება ალრეთვე საქალაქო ტრანსპორტის მუშაკთა გაფიცვა, გაიფიცნენ ფეიერები, მშენებლები, ბანკის მოსამსახურენი.

ურუგვაის მშრომელთა პროფკავშირულმა ცენტრმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც სრულ სოლიდარობას უცხადებს გაფიცულებს და მოუწოდებს ყველა მშრომელს მხარი დაუჭირონ მათ.

□ შვეიცარია. გეტებორგის ნავსადგურში განახლდა დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები, რაც 20 თებერვლიდან შეწყვეტილი იყო ნავსადგურის მუშათა გაფიცვასთან დაკავშირებით. ეს გაფიცვა გამოცხადდა პროტესტის ნიშნად, რადგან გემთმფლობელებმა და ნავსადგურის ადმინისტრაციამ დაარღვიეს შრომითი შეთანხმება. გაფიცულ მუშებს აღუთქვეს, რომ ნავსადგურის ადმინისტრაცია თანხმდა დაიწყოს მოლაპარაკება შრომითი კონფლიქტის მოწესრიგების საკითხზე.

კომუნისტი
მე-3 გვერდი, სამშაბათი,
26 თებერვალი, 1963 წ.

ბებერ ლომს იმედები გაუცრუვდა

რატომ არ მისცეს ვიზა საბჭოთა წარმომადგენელს?

საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილ მონაწილეთა ეროვნულმა ასოციაციამ თავის კონგრესზე (კონგრესი გაიხსნა 22 თებერვალს პარიზში) მიიწვია საბჭოთა კავშირის ოფიციალური ელჩი, კომიტეტის წარმომადგენელი,

კომიტეტმა გადაწყვიტა გაეგზავნა კონგრესზე ა. ა. ფედოროვი. ა. ა. ფედოროვი აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში. პარტიზანთა რაზმის „პარიზის კომუნის“, რომელიც ზემო სონის დეპარტამენტში მოქმედებდა, მეთაურის მოადგილე იყო.

მაგრამ საფრანგეთის ხელისუფლებამ გაურკვეველი მიზეზებით არ მისცეს ვიზა საბჭოთა წარმომადგენელს.

პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში ა. ა. ფედოროვმა საფრანგეთის წინააღმდეგობის მებრძოლთა კონგრესს წარმატებანი უსურვა მუშაობაში, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლაში და რწმენა გამოთქვა, რომ საზოგადოებრივი აზრი უფრო აქტიურად ებრძოლებოდ არ დატოვებს საფრანგეთის ხელისუფალთა ამ გაუმართლებელ ღონისძიებას.

კომუნისტთა წარმატება

ტოკიო, იაპონიის კომუნისტური პარტიისათვის წარმატებით მიმდინარეობს თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოთა არჩევნები. ქალაქ ოდაკაში (ფუკუსიმის პრეფექტურა) ადგილობრივ მუნიციპალურ კრებაში აირჩიეს იაპონიის კომუნისტური პარტიის წევრი ძიუსუკე იამამოტო და დამოუკიდებელი მეცხო ნისიამა, რომელსაც მხარს უჭერდნენ კომუნისტები. იაპონიის კომპარტიის წევრი ხელახლა აირჩიეს ქალაქ კინოსაკის (ხიოგოს პრეფექტურა) მუნიციპალიტეტში. მან ამჯერად უფრო მეტი ხმა მიიღო, ვიდრე წინა არჩევნებში. ასევე ხელახლა აირჩიეს ქალაქ ვაკაკუსის (იამანასის პრეფექტურა) მუნიციპალურ კრებაში იაპონიის კომპარტიის კანდიდატი.

იმათი შთამაგონებელი, ვინც 1910 წელს ქალთა საერთაშორისო დღე დააარსა, იყო სამართლიანობისა და მშვიდობის დიდი იდეალი. სამართლიანობის იდეალი იმიტომ, რომ მეტ წილ საზოგადოებებში ქალები მიიჩნდათ მამასა და ქმარზე დამოკიდებულ არასრულწლოვან ადამიანებად. მშვიდობის იდეალი იმიტომ, რომ ქალს, რომელიც სიცოცხლეს წარმოშობს, ყოველთვის სძულდა ომი, რომელიც სიცოცხლეს სპობს.

8 მარტს დღესასწაული წლითიწლობით უვიფარებდა ქალებს სოლიდარობის გრძნობას, იმის შეგნებას, რომ ერთად სულ უფრო მზარდი რაოდენობით იბრძოლონ თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამრიგად ორმოცდაათი წლის მანძილზე მიღწეულია დიდი წარმატებანი და გრძელდება შეუპოვარი ბრძოლა.

სამართლიანობის იდეალი

ე. კოტონის განცხადება

ამჟამად, რადიოს მეოხებით, რომელიც წამსვე ავრცელებს ახალ ამბებსა და ზარებს, თვითმფრინავის მეოხებით, რომელმაც შეამოკლა მანძილი კონტინენტებს შორის, ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რომ ქალთა საერთაშორისო დღეს ნამდვილად მსოფლიო ხასიათი ჰქონდეს, სავსებით ეფექტიანი იყოს. ახლა ხომ მთელ მსოფლიოში ყველაზე საჭირბოროტო საკითხი .იმის შესახებ, რომ საკრიზა განიარღება. ქალებმა უნდა შეიგნონ ეს და დიდ ასამბლეებზე, ისევე როგორც პატარა კრებებზე, რომლებიც გაიმართება 1963 წლის 8 მარტის გამო, უნდა იკისრონ ვალდებულება — მთელი ძალ-ღონით იბრძოლონ განიარღებისათვის.

ნუ იფიქრებენ ქალები, რომ თუ ასე მოქცენენ, „ამით ეგზულებელყოფენ თავიანთ პასუხსაგებ მოვალეობას, როგორც დედები, ცოლები, მშრომელები და მოქალაქეები, რადგან თუ მშვიდობა არ იქნა, ვერ განხორციელდება მათი ვერც ერთი ყველაზე სასუკეთესო მისწრაფება.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას სურს, რომ შეხვედრები 8 მარტის დღესთან დაკავშირებით დიდი წარმატებით მოიწყოს. ეს შეხვედრები საუკეთესო წინასიტყვაობა იქნება ქალთა მსოფლიო კონგრესისა, რომელიც გაიმართება 1963 წლის 24-29 ივნისს.

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო დღეს!

ეჟენი კოტონი,
ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის.

ნაყოფიერი შეხვედრა

კაირო, 25 თებერვალი. (საკდესი). გუშინ აქ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში „არსებულ საბჭოთა კულტურულ ცენტრში გაიმართა აღმოსავლეთის ქვეყნების მუსიკალური ხელოვნების წარმომშობისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი შეხვედრა. კომპოზიტორ ყარა ყარაევთან შესახვედრად, რომელიც არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში სტუმრად იმყოფება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს მოწვეევით, მოვიდნენ მუსიკალური საზოგადოებრიობის ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი.

ჩვენი საუბარი ძალიან ნაყოფიერი იყო, თქვა საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში კომპოზიტორმა ყარა ყარაევმა. მე მოწმე ვიყავი იმისა, თუ რარიგ დიდია მისწრაფება ეროვნული კულტურის აღმავლობისადმი. განსაკუთრებული სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ამ მხრივ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საბჭოთა ხალხი. მისი დახმარებით კაიროში შეიქმნა საბალეტო სკოლა, რომელიც პირველია რესპუბლიკაში. ამზადებენ პირველი ეროვნული ცირკის მსახიობებს.

ერაყის დღევანდელი დღე

ერაყის დღევანდელი დღეა მასობრივი ჩხრეკა, ასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანთა დაპატიმრება, ცემა და ხოცვა-ყლეტა.

ქუჩებში მიმოდიან ტანკები, ჯავშნიანი ავტომობილები და ავტომანქანები, რომლებზეც ჯარისკაცები სხედან. ჩახერგილ ქუჩებში ყველგან ჩანან სამხედრო პატრულები და „ბაასის“ პარტიის შეიარაღებულ არამზადათა პიკეტები. ბაასელთა რაზმებმა ტერორქვეშ დააყენეს დღევანდელი ბაღდადი და რბევას აწყობენ მუშათა უბნებში.

სურათზე: თავდაცვის სამინისტროს — ბაღდადში ყანონის ყოფილი შტაბ-ბინის დანგრეული შენობა.

ფოტო აფშ-საკდესისა.

პარაგვიოართა კლუბში წყალი ქონავს

25 თებერვლის უცხოეთის პრესის მიმოხილვა

ინგლისის პრესის დიდ ყურადღებას აქცევრობ დღეს ინგლის-ამერიკის მოლაპარაკება ნატოს ატომური ძალების შექმნის საკითხზე. თუმცა ზოგიერთ ცნობათა ნათქვამია, რომ მოლაპარაკებს შეთანხმება მოჰყვა, სხვა ცნობების საფუძველში აღნიშნულია, რომ მოხდა „გათიშვა“. ბევრი ცნობიდან ჩანს, რომ ყოველ შემთხვევაში მთელი რიგი საკითხები მოუწესრიგებელი დარჩა და პრობლემა მთლიანად გადაეცემა ნატოს მორიგ თათბირს, რომელიც პარიზში გაიმართება ამ კვირაში. ინდოეთის გაზეთის „ტაიმს ოფ ინდიას“ ვაშინგტონელ კორესპონდენტს მიაჩნია, რომ მოლაპარაკება ჩიხში მოეწყვედა. კორესპონდენტი ხაზს უსვამს, რომ ინგლისი მეტად იმედგაცრუებულია, რამდენადაც ვარაუდობდა, რომ შესაფერ ადგილს დიეაგებდა, ნატოს „ატომურ კლუბში“.

მსოფლიო პრესის ფურცლებზე კვლავ თვალსაჩინო ადგილი უკავია 18 ქვეყნის განიარაღების კომიტეტის ჟენევის სხდომებს. იუგოსლავიის გაზეთი „ბორბა“ აღნიშნავს, რომ ამერიკის მოთხოვნა ინსპექციათა კვოტის შესახებ, რომლებსაც არა აქვთ რამდენადმე დიდი მნიშვნელობა იმისათვის, რომ ეფექტიანი კონტროლი გაეწიოს ატომური იარაღის გამოცდების აკრძალვის შესახებ შეთანხმების შესრულებას, არაკეთილსაყოფილ გავლენას ახდენს კომიტეტის მუშაობაზე.

იაპონის გაზეთი „იომიური“ აცხადებს, რომ ჩიხი, რომელიც ევროპის მოლაპარაკებაზე შეიქმნა, იწვევს იმედგაცრუებას, „ეს ფერადკანიანი მიამეტნები ფისში უნდა ამოავლო და ბუმბულში ამოგანგლო“.

ყოველივე ეს ამერიკელი რასისტული მხეცობის ტრადიციების სულისკვეთებას შეესაბამება, აღნიშნავს აკუმობი ოზუმბა.

თურქეთ-ამერიკის ურთიერთობა

ანკარა, 25 თებერვალი. (საკდესი). ამერიკელ ელჩ ჰეარ ფერლეის ანკარაში ჩამოსვლა ეროვნულ ერთიანობის ფრონტის ლიდერ ინონიუს ბანაკში ეჭვებს ბადებს. ინონიუ ბანაკის ორგანოს „ულუსის“ ინფორმაციით, ელჩ ფერლეი ინონიუ ბანაკის ლიდერებს ეუბნებოდა, ამერიკა ინონიუ ბანაკის ბედ-იღბალს ინტერესებს, ამ

მეგრუნველობა წიგნს — ჩვენს მეგობარს

მკითხველები ეხმაურებიან „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილს „განძის მტრები“

როგორც მკითხველებმა იცით, ამას წინათ „კომუნისტში“ დაიბეჭდა პროფესორ იასე ცინცაძის წერილი „განძის მტრები“ და რედაქციის შენიშვნა, რომ საჭიროა გავაჩაღოთ ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ვინც პატივისცემით არ ეკიდება წიგნს, აწადგურებს ბიბლიოთეკების წიგნის ფონდებს.

მკითხველი საზოგადოებრიობა დიდი გულისყურით მოეკიდა ამ მტკივნეულ საკითხს. რედაქციაში შემოსულ წერილებში გამოთქმულია აზრი, რომ წიგნების დამტაცებლებისა და გამანადგურებლებისაგან დავიცვათ, გადავარჩინოთ ჩვენი ეროვნული საუნჯე, დავიცვათ ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილი და ამჟამად ახალი ფონდებით გამდიდრებული ბიბლიოთეკები და წიგნსაცავები, რომელთა გაპარტახებას ლამობს ზოგიერთი გულქვა მკითხველი, უპასუხისმგებლო ადამიანი.

ქვემოთ ვბეჭდავთ მკითხველთა რამდენიმე გამოხმაურებას ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილზე „განძის მტრები“.

გახსოვდეთ, პატარა მკითხველებო!

ცნობილია, რომ „წიგნებზე მონადირე“ ადამიანებს, რომლებსაც არაფრად მიაჩნიათ საუკუნეების მანძილზე შექმნილი საგანძურების დაპრა და დაფლეთა, სამუდამოდ გამოჰყავთ წყობილებიდან უნიკალური გამოცემები, ძვირფასი ლიტერატურული თუ ისტორიული წყაროები.

ჩემი ყურადღება, როგორც საბავშვო ბიბლიოთეკის თანამშრომლისა, მიიქცია „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილის „განძის მტრების“ უკანასკნელმა აზრამ: „ჩვენ უნდა მივმართოთ მშრომელებს, განსაკუთრებით დედებს, ჩაუნერგონ ბავშვებს წიგნის სათუთად მოვლა, მისი პატივისცემა, ვისიც უნდა იყოს წიგნი და სადაც უნდა ნახოს იგი“.

ბავშვებს ოჯახთან ერთად საბავშვო ბიბლიოთეკებმა უნდა ჩაუნერგონ წიგნის მოვლისა და მისდამი პატივისცემის გრძნობა.

ჩვენი ბავშვები წიგნებს განგებ როდი აზიანებენ, მაგრამ ვინც ბავშვობაში წიგნის დასვრას და უნებლიე დაზიანებას არად აგდებს, შემდეგში ფურცლების ამოხევასაც ოლად მოახერხებს.

ოჯახი და საბავშვო ბიბლიოთეკა ხელიხელჩაკიდებული უნდა მუშაობდნენ, რათა ნორჩ თაობაში თავიდანვე დანერგოს წიგნის სათუთად მოვლის ჩვევა, წიგნის სიყვარული.

ხშირია შემთხვევა, როცა ბავშვები წიგნის ფურცლის თავისუფალ არეზე აკეთებენ შენიშვნას, ხაზს უსვამენ სტრიქონებს, ნიშნავენ აბზაცებს.

საბავშვო ბიბლიოთეკაში ხშირად უნდა იმართებოდეს საუბრები წიგნის მოვლაზე, ლიტერატურული დილები თემაზე „წიგნი ჩვენი განუყოფელი მეგობარია“. კარგი იქნება, თუ პატარები კოლექტიურად ნახავენ სტამბას, სადაც იბადება წიგნი. იმ დიდმა კოლექტიურმა შრომამ, რაც წიგნის მარტო გამოცემას სჭირდება, არ შეიძლება ბავშვებში არ გააღვიძოს წიგნისადმი პატივისცემა და სიყვარული.

ნორჩ ბიბმეგობართა წრეში საინტერესოდ წარმართული მუშაობა, ვინ იცის რამდენ წიგნის მოყვარულს აღზრდის.

თავისი საქმის ერთგულმა ბიბლიოთეკარმა მკითხველთა ფართო ფენა უნდა ჩააბას წიგნის დაცვაში. ნორჩი თაობა ისე უნდა აღიზარდოს, რომ სწორად გაიგოს წიგნის ყადრი და ერის დიდი საგანძურის მოვლის მნიშვნელობა.

ლ. ნუცუბიძე,

ქუთაისის № 1 სბავშვო ბიბლიოთეკის გამგე, რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარი.

ტორპედოელთა გამარჯვება

ამ დღეებში საერთაშორისო მატჩების გასამართავად მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი კიევროსს ეწვია. პირველი მატჩი ტორპედოელებს ჰქონდათ ამ ქვეყნის ერთ-ერთ ძლიერ საკლუბო გუნდ „ნიასალმინთან“ და გამიმარჯვეს ანგარიშით 3 : 2.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • სპორტი

ნაცნობ იოკოჰამაში

იაპონიის ქალაქი იოკოჰამა საბჭოთა მოჭიდაველებისათვის კარგად არის ცნობილი. ამ ორიოდე წლის წინათ სწორედ აქ მოეწყო მსოფლიო პირველობის გამოამაშება თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. ბევრი ჩვენი სპორტსმენი მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლებით დაგებერნდა სამშობლოში.

გასულ კვირაღდეს სსრ კავშირის მოჭიდავეები იოკოჰამას ეწვივნენ და ხალხაზე კვლავ ცხარე ბრძოლა ჰქონდათ იაპონელებთან. ამჯერად ჩვენი გუნდის უპირატესობა გაცილებით მეტი იყო და გამარჯვებაც ეს ხდა ანგარიშით 6,5:1,5.

ჭიდაობა ძიუ-დოში ჩვენმა მოჭიდაველებმა გაიმარჯვეს 3 : 1.

ვ. გრუმელი და ი. ტერ-ოვანესიანი — ამერიკის ჩემპიონები

ნიუ-იორკის მედისონ სკვერ-გარდენის დიდ დარბაზში თექვსმეტი ათასზე მეტმა სპორტის მოყვარულმა მოიყარა თავი. ასეთი უჩვეულო ინტერესი მძლეოსნობისადმი, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატისადმი აქ არ ახსოვთ. ეს უპირველეს ყოვლისა გამოწვეული იყო ამერიკელი მძლეოსნების შესანიშნავი სპორტული ფორმით, ამასთანავე ჩემპიონატში საბჭოთა მძლეოსნების — ვ. ბრუმელის, ი. ტერ-ოვანესიანისა და ვ. ბულიშევის მონაწილეობით.

საბჭოთა სპორტსმენებიდან ბრძოლაში პირველად ვ. ბულიშევი ჩაება. იგი გამოდიოდა რბენაში 1.000 იარდზე. წინასწარ შეხვედრებში, საბჭოთა მორბენალმა კარგი შედეგი აჩვენა და ფინალში მოხვდა, მაგრამ დასკვნითს შეჯიბრებაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

სახტომ ბილიკზე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ძველი მეტოქეები რალფ ბოსტონი და იგორ ტერ-ოვანესიანი. როგორც ცნობილია, წინა შეხვედრებში არაერთხელ გაიმარჯვა ტერ-ოვანესიანმა. ამჯერადაც იგი უძლიერესი აღმოჩნდა. მისი შედეგია 8 მეტრი და 8 სანტიმეტრი. მსაჯებმა ი. ტერ-ოვანესიანი გამოაცხადეს ამერიკის ჩემპიონად სიგრძეზე ხტომაში. რალფ ბოსტონმა აჩვენა 7 მეტრი და 86 სანტიმეტრი.



სურათებზე: (მარცხნიდან) გ. ბრუმელი და ი. ტერ-ოვანესიანი.

ოლიმპიადა

გ. გურგენიძე ლიდერი

საქართველოს სპორტსმენი ჩემპიონატი

ის იყო დაიწყო მესამე ტურის პარტია ა. ბლაგიძესა და ბ. გურგენიძეს შორის, რომ გურგენიძემ დაფის ცენტრში იზოლირებული ალიკი მიიღო. თუ საჭადრაკო დოგმებს დავუჯერებთ, ეს მეტად უსიამოვნო მოვლენაა. მაგრამ გურგენიძე ბლაგოირჩევა პოზიციისადმი კონკრეტული, შემოქმედებითი მიდგომით. მან სწორად შეაფასა მდგომარეობა, რომელიც ფიგურების უკეთესი განლაგების ჭამა მისთვის ფრიად ხელსაყრელი აღმოჩნდა. ბლაგიძის ბანაკში მრავალი სუსტი პუნქტი იყო, რომელთა დაცვა შეუძლებელი გახდა. გურგენიძემ იერიში კომბინაციური დარტყმით დაავერერგვინა და მესამე გამარჯვება მოიპოვა.

პირველი წარუმატებლობა განიცადა ნონა გაფრინდაშვილმა. მისმა მეტოქემ, თბილისის ჩემპიონმა ი. ჩიქოვანმა დასაწყისიდანვე ხელსაყრელად განალაგა თავის ძალები. შავებმა კი ვერ მოასწრეს ფიგურათა მობილიზაციის დამთავრება. მაშინ ჩიქოვანმა დაიწყო იერიში ფიგურის შეწირვით. მალე მან არა თუ აღიდგინა მატერიალური წონასწორობა, არამედ უპირატესობაც მიიღო. გაფრინდაშვილმა წასაგებ პოზიციაში გადაიცილა მოფიქრებისათვის განკუთვნილ დროს და დამარცხება ჩაეთვალა.

თ. ლომაიამ სძლია გ. ჭანტერიას, ე. მიქაელიანმა — ა. კირკალიძეს. ყაიმზე შეთანხმდნენ რ. ჯინჯიხაშვილი - მ. თხელიძე და ი. ვეტოხინ - თ. გიორგაძე. რ. ჯინჯიხაშვილმა თამაშის განუახლებლად დათმო გადადებული პარტია ნ. გაფრინდაშვილთან.

გუშინ დამთავრდა გადადებული პარტიები. თ. გიორგაძეს ი. ჩიქოვანთან უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ვერ შეძლო მისი რეალიზაცია და ყაიმს დასჯერდა. მ. შიშოვმა დაამარცხა თ. ლომაია, ე. მიქაელიანმა — ი. ვეტოხინი, ა. ბუსლაევმა — მ. შიშოვი. გ. კალატოზიშვილმა — თ. კიკიანი, ჰ. არნშტეინმა და დ. ჯანიევმა — ჯ. ბერაძე. მ. თხელიძეს ეტლების ენდშპილში ზედმეტი პაიკი ჰქონდა ა. ბუსლაევთან, მაგრამ მისი გამოყენების გზა არ ჩანდა. ოსტატმა დათმო მეორე პაიკიც და ორიგინალური გზით ყაიმს მიაღწია.

სამი ტურის შემდეგ ლიდერობას საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი, ოსტატი ბ. გურგენიძე ინარჩუნებს, რომელმაც სამივე პარტია მოიგო. 2,5 ქულა შეაგროვეს ოსტატობის კანდიდატებმა ი. ჩიქოვანმა, ჰ. არნშტეინმა და ა. იზოზიჩიკოვმა. მსოფლიოს ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილს, ოსტატობის კანდიდატებს გ. კალატოზიშვილსა და ე. მიქაელიანს ორ-ორი ქულა აქვთ.

ღღეს გაიმართება მეოთხე ტური.

თბილისელთა ორი გამარჯვება რიგაში

გუშინ და გუშინწინ რიგაში შედგა კალათბურთელ ვაჟთა ზამთრის საკავშირო ტურნირის ორი მატჩი.

თბილისის დინამოელები თამაშობენ რიგის ვეფ-ის წინააღმდეგ. დინამოელებმა ბრძოლა ტემპიანად, აქტიურად ჩაატარეს და გაიმარჯვეს 74 : 63 (34 : 32). კარგი თამაში აჩვენეს მინაშვილმა, ხაზარაძემ და ალთაბაევმა.

მძაფრი ბრძოლით აღინიშნა მეორე მატჩი ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონის რიგის სკა-სა და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდებს შორის. მართალია, თბილისელებმა პირველი ტაიმ წაადგეს ანგარიშით 28 : 35, მაგრამ მეორე ნახევარში შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და მეტად პასუხსაგები მატჩი მოიგეს ანგარიშით 71 : 68.

გ. ე. გოგავა

გარდაიცვალა საქართველოს სსრ რეს. პუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, ცნობილი მშენებელი, ტრესტ „თბილმრეწვმშენის“ მმართველის მოადგილე გრიგოლ ერმილეს-ძე გოგავა.

გ. გოგავა დაბადა 1908 წელს ქალ. ქუთაისში, რკინიგზელის ოჯახში. 1930 წელს დამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საშენებლო ფაკულტეტი, რომლის დამთავრების შემდეგ ორ წელიწადს მუშაობდა თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში სამშენებლო საქმის მასწავლებლად, ხოლო შემდეგ განუწყვეტლივ მუშაობს სხვადასხვა მშენებლობებზე.

ფართო და მრავალმხრივი იყო გ. ე. გოგავას პრაქტიკული მოღვაწეობა ჩვენი დედაქალაქის თბილისის მშენებლობებზე და კეთილშენწყობის საქმეში. იგი მუშაობდა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების გამგედ, შემდეგ კი ტრესტ „ინჟმშენის“ მთავარ ინჟინრად, რამდენჯერმე იყო არჩეული რაისაბჭოებისა და თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. 1947 წელს სკკპ რიგებში შეიყვანა.

1945 წელს გ. გოგავა დაინიშნა საქართველოს „მეტაშენის“ თბილისის სამშენებლო სამმართველოს უფროსად, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1960 წლამდე.

სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გ. გოგავა დაუღალავად მუშაობდა და ახალგაზრდა მშენებლებს გადასცემდა თავის დიდ გამოცდილებასა და ცოდნას.

ინიციატივიანი, ენერგიული, გულისხმიერი ადამიანის გრიგოლ გოგავას ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგებს ჯგუფი.

ᲒᲣᲜᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

ტყის ამბები

ადგილობრივ გაზეთებში დროდადრო გამოქვეყნდება ხოლმე პატარა ამბები ტყის ბინადართა ცხოვრების შესახებ. რამდენიმე ასეთ საინტერესო ამბავს ვბეჭდავთ დღეს ბუნების მოყვარულთა საყურადღებოდ.

დაუპატიჟებელი სტუმარი

ეს მოხდა არა ტყეში, არამედ ივანგოროდის განაპირას სამხრეთ დასახლებაში, სადაც ბალტიისპირეთის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლები ცხოვრობენ. ბულდოზერისტმა პ. ალექსეევმა გადაწყვიტა კვირას აბანო გაეთბო, კარი გამოაღო და მაშინვე უკან მოაწყდა: აბანოს წინა ოთახში ნახტომისათვის დაძაბულიყო დიდი ფოცხვერი. ალექსეევმა მოასწრო კარის მიხურვა და რკინის ძელით გამაგრება. მახეში მოქცეული მხეცი გააფთრებით აწყდებოდა კარს. ამასობაში სხვებმაც მოუსწრეს, და დაუპატიჟებელ სტუმარს ბოლო მოუღეს.

გამოირკვა, რომ ფოცხვერი თურმე უკვე რამდენიმე დღეს უვლიდა გარს საძოხეს; დიასახლისებმა მისი კვალი შეამჩნიეს, მაგრამ ვერ მიხვდნენ, ვის ეკუთვნოდა. ფოცხვერთან შეტაკების ამბავი „სოვეტსკაია ესტონიამ“ დაბეჭდა.

უნაგლიე ზემცოცავები

მონადირე ვ. შჩორა ისე ბრუნდებოდა შინ, რომ ერთხელაც არ გაუსვრია თოფი, წერს „ზაკარპატსკაია პრავდა“. უცებ ძაღლმა ყეფა ატეხა და მიაშურა დიდ ნაძვს, რომლის წვერო ზემოთ კბოდეს ეხებოდა. „ალბათ ციყვია“, — გაიფიქრა მონადირემ, მაგრამ მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, რომ შტოებზე კურდღელი დაინახა. ეტყობა მელამ მიაგდო კურდღელი კბოდეს ნაპირზე, შეშინებული კურდღელი კბოდედან გადახტა და ვეებერთელა ნაძვის წვეროზე შერჩა.

„კალინინსკაია პრავდას“ ასეთი შემთხვევა მოჰყავს. მონადირეები ტერეხოვის ტყეში მივიდნენ, მაღლა ხეზე რაღაც შეამჩნიეს და ესროლეს. ძაღლი ხის ქვეშ შეგარდა და მელია გამოიტანა. ალბათ მელია შტოებს აპყვა და ფრინველის ბუდეში დიმალა, რომ ძაღლები მოეტყუებინა.

გერმანული ჯიშის ნაგაზი — დოქსი იტალიაში ყველაზე პოპულარული ძაღლია. მრავალი წლის მოშაობის მანძილზე სკვადრა მობილეში (რომის სამძებრო პოლიცია) დოქსმა მონაწილეობა მიიღო 400 ბოროტმოქმედის შეპყრობაში. იგი აღიარეს მსოფლიოს ჩემპიონად მეძებარ ძაღლთა შორის. დოქსს აქვს 4 ოქროსა და 27 ვერცხლის მედალი.

მეძებართა ოთხფეხა ჩემპიონი

დოქსი წარმატებით ამართლებდა ჩემპიონის სპატიო წოდებას და თავისი ოსტატობით გადაამარა ისეთ მეტოქეებს, როგორიც არიან: რექსი ინგლისის სკოტლენდ იარდიდან და ჯსორო — პარიზის სამძებრო პოლიციის ძაღლი.

დოქსს, სხეულზე ბოროტმოქმედთა ტყვიის შვიდი ნაჭრილობევი აქვს, რომლებიც მან 160 შეტაკების დროს მიიღო. ამას წინათ დოქსი „ეპნესიაზე გავიდა“. მაგრამ კვლავაც ასრულებს ზოგიერთ განსაკუთრებით პასუხსაგებ დავალებას. ანგარიშს უწევენ დოქსის ასაკს, დამსახურებული დასვენების უფლებას და ტყუილუბრალოდ არ აწუხებენ.

დოქსის ერთ-ერთი ფენომენალური საბოლოოდ ასავლო ამბავია ცნობილი „დაკარგული ღილის საქმე“. ქურდი რომის „პრინჩიპე ტეატროს“ სარდაფში დიმალა და იქიდან საიუველირო მაღაზიაში შეიპარა. მას დამის დარაჯი წააწყდა, მაგრამ ქურდმა შებრძოლების შემდეგ შეძლო გაქცევა. გამოიძახეს დოქსი. მან დაუნოსა დარაჯის ტანსაცმელი და პოლიციელები ქალაქის მეორე ბოლოში ერთ სარდაფში მიიყვანა. ახალგაზრდა კაცი, რომელიც პოლიციელებმა გამოალვიძეს, „ირწმუნებოდა — მე ამსოლუტურად არაფერში არა ვარ დამნაშავეო.

— მე მზად ვიყავი დამეჯერებინა მისი ნათქვამი, — ამბობდა შემდეგ სერჟანტი, — განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დარაჯმა ვერ იცნო ბანდიტი, საიუველირო მაღაზიაში რომ შეებრძოლა. მაშინ ვანშინე დოქსს კვლავ გულდასმით დაეთვალიერებინა ყველაფერი. დოქსმა პასუხად დაიყეფა და სარდაფიდან გაიქცა. მას კვალდაკვალ გასდიეს პოლიციელებმა. დოქსი საიუველირო მაღაზიისაკენ გაიქცა. იატაკი რამდენჯერმე დაუნოსა და... ღილი მოპირბენინა. შემდეგ კიდევ ერთხელ შეეყოფა და კვლავ სარდაფისკენ გაიქცა, სადაც რამდენიმე ხნის წინ ვიყავით. ამჯერად დოქსმა ოთახში მდგომი კარადა დაუნოსა, თათით კარი გამოაღო, უკანა თათებზე შედგა და საწვიმარი ლაბადა ჩამოხსნა. დოქსს მიერ ნაპოვნი ღილი ამ ლაბადისა იყო. მომწყდარ ფილზე შერჩენილი ქსოვილის ნაჭერიც საკვანძით შეესაბამებოდა ლაბადის ქსოვილს. ბოროტმოქმედი იძულებული გახდა ეღიარებინა დანაშაული.

თუ დოქსის პატრონის სერჟანტ მაიმონეს ხუთ ბლოკნოტს გადაათვალიერებთ, მისი ძალლის სხვა მამაცობის ამბებსაც გაიგებთ: მაგალითად, როგორ გადაარჩინა მან ბავშვი, როდესაც იგი ავტომობილის თვლებიდან უვნებლად გამოათრია, როგორ დაეწია და დაიჭირა ბანდიტი ტყვიით ფეხში დაჭრილმა, როგორ მოძებნა მთებში დაკარგული ბოთხილამურე, რომელსაც დიდხანს და უნაყოფოდ ეძებდნენ...

დოქსი ნამდვილად განსაკუთრებული ძალლია. იგი, შეიძლება ითქვას, მსოფლიოში ერთადერთი ძალლია, რომელსაც შეუძლია გაუსროლელად გამოცალოს რევოლვერი. ამას იგი ოსტატურად აკეთებს: ჯერ, სამხედრო წესდების შესაბამისად, გადართავს დამცველს უსაშიშრო მდგომარეობაში, შემდეგ გადახსნის რევოლვერს და თათებისა და კბილებს მეშვეობით გამოიღებს ტყვიებს. დოქსს შეუძლია გაათავისუფლოს შეკრული კაცი. ერთი სიტყვით, დოქსის მამაცობა ლეგენდარულია, როგორც მისი ნიჭი.

დოქსი 40 დღისა იყო, როდესაც სერჟანტ მაიმონესთან მოხვდა. მან იგი გაწვრთნა და გაზარდა. მრავალი წლის მანძილზე ისინი განუყოფელი არიან.

ვ. ივანოვი.

„ნედელია“.

გაზეთ „იზვესტიის“ ყოველკვირეული დამატება.

ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲝ



პავლოვის ქუჩიდან გაკე-საბურთალოს გზას რომ გაჰყვებით, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს სამსართულიანი შენობა. სულ ერთი წელია, რაც აქ მუშაობა დაიწყო საქართველოს სამხატვრო ფონდის თბილისის სამხატვროსაწარმო კომბინატმა. საწარმოს აქვს ფერწერის, მხატვრული გაფორმების, კერამიკის, ქანდაკების, პლასტმასის, ლითონის დამუშავების საამქროები. აქ ვერ ნახავთ სხვა საწარმოსათვის დამახასიათებელი ნაწარმის სიუხვეს, მაგრამ რაც არის, ლამაზია, მოხდენილი, თვალს მოგტაცებს. ეს გასაკვირველიც არ არის, რადგან შექმნილია თვით მხატვრების ხელით ან მათი ხელმძღვანელობით.

საწარმოში შექმნილი მხატვრული პროდუქცია ძირითადად იყიდება თბილისის სამხატვრო სალონში, აგრეთვე მოსკოვის ცენტრალურ სალონში, რიგაში, კიევში და სხვა ქალაქებში.

— კერამიკის საამქროს ამ განყოფილებაში, — გვეუბნება კერამიკისა და ქანდაკების საამქროების უფროსი მოქანდაკე დ. ურუშაძე, — ამზადებენ მხოლოდ უნიკალურ, ავტორიზებულ ნაწარმს. ვეცნობით მხატვარ-კერამიკოსების — ა. ქოჩიაშვილის, ნ. ველიაშვილის, ლ. ჩხეიძის, ე. ქუტუბაშვილის, შ. მიქაძის ქართული ორნამენტებით მოხატულ ყელმოღერებულ სურებს, ღვინის დოქებს, ლუდის, ლიქიორის სასმისებს. ხილის თეფშებს. მხატვარი-კერამიკოსები აქვე მუშაობენ, მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ორ ოთახში.

საამქროს შემდეგ ოთახებში კი გრძელ მაგიდებზე ჩამწკრივებულ სხვადასხვა სახის კერამიკის ჭურჭელს მუშები მისხდომიან და მხატვართა მიერ შექმნილი ესკიზების, ნიმუშების მიხედვით გამოჰყავთ მათზე ორნამენტები. აი რ. იაშვილის სასმისი „ხარის“ მიხედვით შექმნილი პროდუქცია. აღსანიშნავია, რომ იაშვილის ამ ნამუშევარმა გასულ წელს ჩეხოსლოვაკიაში გამართულ კერამიკის მსოფლიო გამოფენაზე ცერცხლის მედალი დაიმსახურა. ახლა კი მას საწარმო გამოუშვებს და მსურველს შეუძლია შეიძინოს იგი სავაჭრო ორგანიზაციებში. საწარმო უშვებს აგრეთვე იაშვილის „ირემს“, „მწყერს“, ნ. კიკნაძის „გედს“ და სხვ. ამჟამად საამქრო აწარმოებს ნ სხვადასხვა ეტალონის მიხედვით შექმნილ კერამიკას, სულ მალე კიდევ ნ ეტალონს აითვისებენ.

ჩვენი სახელოვანი მოქანდაკის ი. ნიკოლაძის „ჩახრუხაძემ“ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ამჟამად ქანდაკების საამქრო მასობრივი გამოშვებისათვის ამზადებს „ჩახრუხაძის“ პორელიეფს.

ლითონის მხატვრული დამუშავების საამქრო ახალი წარმოებაა. აქ ამზადებენ ლითონში მხატვრულად შესრულებულ ქალის სამკაულებს — მედალიონებს, ყელსაბამებს, ქინძისთავებს. ეს პროდუქცია იქმნება მხატვრების ი. ოჩიაურის, გ. გაბაშვილის, ა. გორგაძის, მ. ყიფშიძის, კ. გურულის ეტალონების მიხედვით.

საწარმოში ჩამოყალიბების პროცესშია ხისდასამუშავებელი, ქვისდასამუშავებელი, მხატვრული ქსოვილის საამქროები.

— ჩვენი წარმოების ძირითადი მიზანია, — გვეუბნება სამხატვრო საწარმოს კომბინატის მთავარი მხატვარი გ. ქოქიაშვილი, გამოვუშვათ მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქცია. ჩვენს მომხმარებელს მივაწოდოთ მხატვრების მიერ შექმნილი კერამიკა, ქანდაკება, ლითონის გრავიურა, ფერწერული ტილო და სხვა მხატვრული პროდუქცია.

* * *

სურათებზე: (ზეკით) კომბინატის მხატვარი კერამიკოსები ლ. ჩხეიძე (მარცხნივ) და ნ. ველიაშვილი მუშაობის დროს. (ქვევით) კომბინატის ნაწარმი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

რატომ იქცევიან ასე?

დრო დაიცვათ ჩვენი წიგნსაცავები. ბიბლიოთეკის მუშაკები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას „წიგნის ფონდის განიავების გამო. მავნე ადამიანები საჭირო წიგნს წაიღებენ და დაბრუნებას არ ფიქრობენ, სახელმწიფოს ქონებას ითვისებენ. ზოგი კიდევ წიგნებიდან, ჟურნალებიდან, გაზეთების კომპლექტებიდან სტატიების ამოხევაში დაოსტატდა.

რაშია საქმე, რატომ იქცევიან ასე?

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ადვილია. დამნაშავე მკითხველთა მიმართ არავითარი სასჯელი არ არსებობს. კარგი იყო, როცა წიგნის დაკარგვისათვის მკითხველი ჯარიმდებოდა სახალხო სასამართლოების საშუალებით. ბიბლიოთეკის თანამშრომლები მივდიოდნართ ასეთი უხეში მკითხველების სახლებში, მაგრამ ხშირად უშედეგოდ.

წიგნის დაკარგვის შემთხვევაში ამჟამად მკითხველი მეტ ფასად ყიდულობს იმავე დარგის წიგნს და ბიბლიოთეკას აბარებს, რაც ყოველად გაუმართლებელია. განა ფასშია საქმე? აქ ხომ დაზარალდა ბიბლიოთეკა, რომელმაც დაკარგა იშვიათი წიგნი.

ხშირად წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთის კომპლექტებიდან ხევენ სტატიებს. ბიბლიოთეკარისათვის ძნელია ყოველი დაბრუნებული წიგნის ან ჟურნალის ფურცელ-ფურცელ შემოწმება.

უკანასკნელ ხანებში ქალაქის უმრავლეს მასობრივ ბიბლიოთეკებში შემოღებულია მკითხველთა თავისუფალი დაშვება წიგნის თაროზე. ამ ახალმა ღონისძიებამ, ჩემი დაკვირვებით, საზიანო საქმე გააკეთა — უფრო განადგურდა წიგნსაცავები. მაგნე ადამიანები ახლა თავისუფლად იპარავენ წიგნებს.

სიტყვა თქვენ გეკუთვნით, მკითხველებო, გაიცხეთ წიგნზე. მონადირეები.

გ. ბოგოსხიძე,

თბილისის რუსთაველის სახელობის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის გამგე.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

25 თებერვალი

ᲥᲘᲜᲝ

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, საქართველო (წითელი დარბაზი), **ყაზბეგი** (პირველი დარბაზი) — მზე და ჩრდილი, **ამირანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი, ოფიცერთა სახლი** — როდესაც ხიდებს გადახსნიან, **თბილისი** — შორეულ ნაპირებზე, **სპარტაკი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **გაზაფხული, დიდუბე, კიროვის სახელობის პარკი** — დუმან მხოლოდ ქანდაკებები, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — გლახის ნაამბობი, **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — ფატმა, **ნაკადული, კოსმოსი** — ბაში-აჩუკი, **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ყაზბეგი** (მეორე დარბაზი) — მე, ბებია, **ელიკო და ილარიონი, კოლხიდა** — ყინულთსვლა, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — მარშრუტი 99, **კოლმეურნე, კომუნარების ბაღი** — ალექსანდრე პარხომენკო, **თანამგზავრი** — სამხედრო დამნაშავენი.

26 თებერვალი

რუსთაველის სახელობის — თანამედროვე ტრაგედია (მე-14 ამონ. მე-3 სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — მშვენიერი ღღე (მე-2 ამონ. მე-6 სპექტაკლი), **ვახო ბაშაძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (სომხური დრამის თეატრში) — შესანიშნავი სამეული, **სანკულტურის** — სიყვარულის მსხვერპლი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — პრინცესა ტურანდოტი (ამონ. № 23, 6 ს.), **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — მუსიკალური ტრიო — მ. იაშვილის, ტ. პრიმენკოს და ლ. როშჩინის შესრულებით.

26 თებერვალი

12:00 — კინონარკვევი, 12.40 — მხატვრული ფილმი „დაუმორჩილებელი იანი“, 18.00 — მოსწავლეთათვის — მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლის „პრინცესა ტურანდოტის“ ტრანსლაცია, 20.10 — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის „იავნანა“, 20.50 — მწერალი კონსტანტინე გამსახურდია სტუდიაში, 21.10 — გადაცემა — „მოგონებები ლამბერტ არაყიშვილზე“, 21.45 — ახალი ამბები, 22.00 — მშობელთა ტელეუნივერსიტეტი, 22.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კუნძული გლამადონი“.

27 თებერვალი

პირველი პროგრამით

06.40 — ქართული ხალხური საცეკვაოები, 08.30 — ვალდესი. საბალეტო სიუიტა „ტამბო“, 09.10 — ო. ბარამიშვილი. სიმოკლესტრო სიუიტა „რომეო და ჯულიეტა“, 10.30 — ლიტერატურული გადაცემა ციკლიდან — „ჩვენი ღღეების გმირები“, 10.45 — ქართულ-იუგოსლავური სიმღერები, 11.15 — კონცერტი არენსკის ნაწარმოებებიდან, 12.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან — „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე“, 12.15 — ნ. გიგაური. ოპერა „ვამზრდელი“, 13.40 — ნინგემიტი. ხონატ ფორტეპიანოსათვის სი-ბე-მოლ მაჟორი, 17.15 — აზერბაიჯანული სიმღერები, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. სიუბარი: „ოკეანეთის საიდუმლოებანი“, 18.10— საესტრადო მუსიკის კონცერტი. 18. 45 — მ. დავითაშვილი, ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 19.30 — საუბარი — „ადამიანი, დედამიწა, კოსმოსი“, 20.15 — გუნდ. საბალეტო სიუიტა „ვალტეგრის ღიმე“, 20.30 — გადაცემა — „თბილისი, ბაკო, ერევანი“, 21.00 — რადიოდადგმა ნ. ლორთქიფანიძის ნოველის „როცა კაცი მარტოა“, 21.30 — რადიოჟურნალი „ჩანგი“, 23.30 — „მელრის ტიტო სკიპა“.

მეორე პროგრამით

20.30 — რუსული კამერული მუსიკა, 20.45 — გადაცემა — „ბოწინავეთა დეკეზი“ (რუსულ ენაზე), 21.00 — ფაინი. ოპერეტა „ქოშები“ (მონტეკარლო).

რედაქტორი

დ. მეიდლიშვილი.



Комунисти
ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, ბ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფ. ლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, ხაილუსტრაციო — 3-20-48, განცხადებების — 9-94-42.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡᲛᲘᲐᲜᲘ

ᲣᲒ 07817

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.